137/2 ო 328

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 811
დამატების № 145
კვირა, 5 მარტი 1917 წ.



საიდუმლო ლაპარაკი.



ტრაპიზონში ნ. ბარათაშვილის პანაშვიდის გადახდის შემდეგ (სოლომონ მეფის საფლავთან).

# ტანჯულ მეგობარს

ნუ, მეგობარო, ნუ წამიკითხავ შენი წარსული ტანჯვისა რვეულს,
თორემ ხომ ხედავ, რომ მეც ავმღუღრდი, როს გჭვრეტ სევდიანს და ცრემლმორეულს.

მეც, მეგობარო, ბასრი კლანჭები ცხოვრებამ გულში დამიტრიალა,
მეც, მეც ვიტირე ცხარე ცრემლებით, მეც გამოვსცალე ტანჯვის ფიალა,
მეც მყავდა სატრფო ტურფა, კეკლუცი, სამშობლო ერქვა იმას სახელად,
მეც იმას ძალით მომგლიჯეს ძმაო, ეხლა გული დავრწი ტყე-ველად.
ჰო! მეც, მეც მწამდა შვების სამეფო, მეც იმისაკენ გზას ვიკაფავდი...
მეც მქონდა ბაღი,—ოცნების ბაღი, მაშინ მეც შვების ლექსებსა ვსთხზავდი.

მეც, მეც მიყვარდა ტანჯული მოძმე, მეც მასთან ერთად ვიღვწოდი მარად,
მეც მასთან ვიყავ ჭირში და ლხინში... მასთან ტანჯვასაც ვიმჩნევდი არად...
დღეს კი აქ, უცხო ქვეყნის ტყე-ველად დავეხეტები, დამწვარი გული,
და მეც დავსწერე, როგორც შენ, ძმაო, ჩემი წარსული ტანჯვის რვეული...
მაგრამ არ მინდა, არ მინდა, ძმაო, რომ გავიხსენო ტანჯვა წარსული...
და... ნუ მიკითხავ ტანჯვისა რვეულს, თორემ ატირდა, ამღუღრდა სული...
არა, არ მინდა კვნესა,—გოდება... მე კვლავ შვების ჩანგს მოვჰკიდებ ხელსა,
და იმის ჰანგით დავსწვავ, დავსთრგუნავ შავ-ბნელ ფიქრებსა და სევდას მწველსა...
...შენც, მეგობარო! შენც დაივიწყე წარსული სევდა, ტანჯვა წარსული...
და... ორვემ ერთად ძლიერ ბრძოლის ღმერთს გავუხსნათ გრძნობა, გავუხსნათ გული...
და... წინაღუდგეთ უსამართლობას... ვებრძოლოთ იმას შეუპოვარად...
კვლავ, კვლავ ვიწამოთ შვების სამეფო და იმისკენ ვილტვოდეთ მარად...

მაშ, ნუ მიკითხავ, ნუ, მეგობარო, შენი წარსული ტანჯვის რვეულს,
თორემ ხომ ხედავ, რომ მეც ავტირდი, როს გჭვრეტ სევდიან და ცრემლმორეულს.

ი. ვადაჭკორია.

# გიორგი მეგარიშვილი

(შემდეგი *)

II

ეს დრო იყო მეოცე საუკუნის დამდეგი, როცა რუსეთში ახლად იწყებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობა. მუშათა გაფიცვა ხშირდებოდა, გლეხობაშიაც სააგრარო მოძრაობა იზრდებოდა. სტუდენტობა ხომ დიდი ხანი იყო ღელავდა. გიორგი თავიდგანვე ჩაება სტუდენტების მოძრაობაში და ყოველს საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. მესამე კურსზე რომ იყო, მეტადრე მაშინ გაიზარდა მოძრაობა და საზოგადოების თითქმის ყოველს ნაწილს მოედო ამა თუ იმ სახით. იმ დროს მრავალი წრე არსებობდა. ერთში გიორგიც იღებდა მონაწილეობას. წრის კრება ხშირად იმართებოდა. სტუდენტების გარდა, კრებას ესწრებოდა რამდენიმე კურსელი ქალიც. რადგან სტუდენტობას პოლიცია გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა და ყოველთვის მოსალოდნელი იყო კრებას თავს დასხმოდა, ამიტომ რიგ-რიგობით სამს კაცს გარედ სტოვებდნენ სადარაჯოდ: ერთს ქუჩიდან შესასვლელ კარებთან, ორს ცოტა მოშორებით კარების მარცხნივ და მარჯვნივ. მთავრობის პოლიტიკა, მუშათა საკითხი,—სააგრარო საკითხი, რუსეთში არსებული საპოლიტიკო მიმართულებანი და მრავალი სხვა კრების დაუღალავი სჯა-ბაასისა და კამათის საგანი იყო. ქალებსა და ვაჟებს მეგობრული, ამხანაგური განწყობილება ჰქონდათ წრის ყოველი ქალი გიორგის დად მიაჩნდა, პატივსა სცემდა, ყოველ ქალთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყველას ისე ექცეოდა, როგორც დანარჩენს მეგობარ ვაჟებს.

ორიოდე თვის შემდეგ გიორგი თავისდა შეუმჩნევლად ყველაზე მეტად ნიკოლაევის ქალს ნადეჟდას დაუახლოვდა ხშირად დაშორდებოდნენ ხოლმე ლაპარაკის დროს საპოლიტიკო საგნებს და შინაურულს ბაას გააბამდნენ. სიარულიც დაიწყო გიორგიმ ნადეჟდას სახლში; ერთი ორჯელ ქალიც მივიდა გიორგისთან. რომ გაიგო, გიორგი ქართველია, ხშირად ელაპარაკებოდა ქართველებისა, საქართველოს და მისი ბუნების თაობაზე. როგორც მრავალს სხვა რუსსაც, იმასაც უცნაურად ჰქონდა საქართველო წარმოდგენილი. რაღაც საზღაპრო მხარე ეგონა.

— იცით, გიორგი, საქართველოს ნახვა ძალიან მინდა, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, მეშინიან. ამბობენ, თითქმის ყოველი ქართველი, დიდი და პატარა, ახალგაზდა და მოხუცი, ქალიც კი, იარაღში არის ჩამჯდარიო.

— თუმცა მართალს არ ამბობთ, მაგრამ ვსთქვათ ეგრეა,— მთელი ქართველი ხალხი იარაღში ზის,—მერე შიში რაღა შუაშია?

— თურმე, უცხო კაცი რომ ჩავა, ან მოჰკლავენ ან დასჭრიანო. განსაკუთრებით ღამეა თურმე საშიში, შემობინდების შემდეგ გარედ გასვლა შეუძლებელი ყოფილა.

— ნადეჟდა, ღმერთმანი, ისეთ რასმე ამბობთ, თქვენ მაგიერ მე მცხვენიან. ქალი მეორე კურსზე ხართ, უმაღლესს განათლებას იღებთ, აფრიკისა და ავსტრალიის ყოველი კუთხის ცოდნაც კი მოგეთხოვებათ და თქვენ რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეულის საქართველოს თაობაზე ასეთი უცნაური წარმოდგენა გქონიათ. მაგრამ თქვენ როგორ გაგამტყუნოთ, ბევრს პროფესორსაც კი არა აქვს საქართველოს თაობაზე უკეთესი წარმოდგენა.

გაწითლებულმა ნადეჟდამ თავის გამართლება ვეღარ მოახერხა.

ერთხელ ნადეჟდამ გიორგის სახლში კედელზე ჩამოკიდული ქართული გაზეთი დაინახა.

— რა ენით არის დაბეჭდილი ეს გაზეთი?

— ქართულად.

— ანბანი ბერძნულია თუ ებრაული? გიორგის გაეცინა და უთხრა სადაურიც იყო.

— განა ქართული ანბანი არსებობს გაიკვირვა ქალმა.

— უხსოვარ დროიდან. გაცილებით ადრეა გამოგონილი, ვიდრე, მაგალითად, რუსული.

— მწერლობა გაქვთ?

— გაქვთო? და განა მარტო ახლა! ქართული მწერლობის ოქროს ხანი ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეს ეკუთვნის. შოთა,

*) იხ. სურათებიანი დამატება № 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ციმერმანი, გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი.

შავთელი, ჩახრუხაძე; ვერცხლის ხანის მგოსნები, მეცხრამეტე საუკუნის მწერლები მოკლედ განუმარტა.

— რუსთველზე წინად არსებობდა მწერლობა, ქართული ფილოსოფია გვქონდა საკუთარის ტერმინოლოგიით და საპატიო ადგილიც ეჭირა მაშინდელს დროს.

გიორგი დაბეჯითებით ლაპარაკობდა, გულწრფელად, სიყვარულით.

ქალი გატაცებით უსმენდა და თვალებში შესჩერებოდა. გიორგიმ რომ ლაპარაკი გაათავა, ნადეჟდამ ოდნავ ამოიოხრა და დამკვირვებელის თვალის შეუმჩნევლად მოიღრუბლა.

— ძალიან გიყვართ თქვენი სამშობლო?

— მთელის ჩემის არსებით, ღიმილით უპასუხა.

ქალი და ვაჟი უფრო და უფრო ხშირად ხვდებოდნენ, ერთმანეთს ეტანებოდნენ და ერთად ყოფნას ცდილობდნენ.

არ ახსოვდა გიორგის და არც წინად ჰქონდა შემჩნეული, თუ რა დღეს შენიშნა, მაგრამ ბოლო ხანს კი ხედავდა და დარწმუნდა კიდეც, რომ ნადეჟდა ლამაზი იყო. წინად ამის თაობაზე თითქმის არაფერი იცოდა, მერე მაგრამ კი დაინახა, რომ ნადეჟდა, სრულებით ახალგაზდა ქალი იყო, ცხრამეტის-ოცის წლისა. შუათანაზე ცოტა მომაღლო, კოხტა ტანისა, წელში წვრილი და წელზევით სრული; მოხდენილად, მრგვლად მოყვანილი მხრები ჰქონდა, თავისუფლად განვითარებული მკერდი, თეთრი, მოგრძო, შუშად ნათალი და თასმასავით მოქნილი თითები, თვალები ცისფერი და ცასავით მოწმენდილი, სალი ფერის სახე და თეთრ-წითური. ყველაფერი ეს შემჩნია გიორგიმ, მაგრამ კი არ იცოდა და არც თავის თავს დაჰკითხებია, რატომ წინადაც არა ჰქონდა შემჩნეული: ხომ კარგა ხანია, რაც იცნობდა. ეს კი იყო, რომ ამის შემდეგ უფრო ხალისიანად შეჰხვდებოდა ხოლმე და ამასთანავე შეუგნებლად ჰგრძნობდა თითქოს განახლებულა, რაღაცა ახალი შეჰმატებია მეგობარს ქალსაო.

ერთ დღეს სახლში მივიდა ნადეჟდასთან.

ქალი მარტო იყო. გააბეს ბაასი.

ლაპარაკობდნენ, სხვათა შორის, ერთს პროფესორზე, რომელიც ქალია უმაღლესს კურსებზეც კითხულობდა ლექციას და უნივერსიტეტშიც შუა ლაპარაკის დროს, ნადეჟდამ უცებ ჰკითხა:

— უნივერსიტეტს რომ გაათავებთ, რას აპირებთ, აქ დარჩებით თუ საქართველოში წახვალთ?

— რასაკვირველია, საქართველოში წავალ, დაბეჯითებით უთხრა. გიორგიმ—რა იყო?

— არაფერი, ისრე განაგრძეთ ლაპარაკი. პროფესორის თაობაზე ლაპარაკი განაგრძეს. მაგრამ გიორგიმ შეატყო, საქართველოში წასვლის თაობაზე ნათქვამი სიტყვის შემდეგ ნადეჟდამ უცებ მოიწყინა, უხალისოდ ლაპარაკობდა და იმის ცასავით მოკრიალებულს თვალებში პატარა ღრუბელივით მოხეტიალე ნაღველი დაინახა. ეს რომ შეამჩნია, თავის თავსაც დაატყო უცნაური ცვლილება. გულს ნაღველ-ნარევი სიამოვნება ეუფლა, რაღაცა სითბო, სასიამოვნო, აშკარა სითბო იგრძნო. მერე ეს სითბო გაუძლიერდა, უკვე წვა დაუწყო, აქეთ-იქით გაუქანდა-გამოუქანდა, გულიდან თავში აუვარდა, თვალებს მოაწვა და აშკარად შეატყო, რომ ყურის ძირებამდის გაწითლდა და თავისდაუნებურად თავი დაღუნა. ლაპარაკი ველარ ეწყობოდა. დიდხანს აღარ დარჩენილა გიორგი ქალთან, მალე გამოეთხოვა მორცხვად, არაჩვეულებრივად და ცოტა არ იყვეს, გაოცებული გარედ გამოვიდა.

III

გზაზე ლამაზის სევდა მორეული თვალები აედევნა. ჰფიქრობდა:—რადა, რად მოიწყინა, რად დანაღვლიანდა ის ქალი? ნუ თუ იმიტომ, რომ უთხარი, საქართველოში უნდა წავიდე მეთქი: კეთილი, მაგრამ რად იმოქმედა ასე ამ ამბავმა ნადეჟდაზე, რადა? ეკითხებოდა გიორგი მალ-მალე თავისთავსა, მაგრამ პასუხი ვერ მოენახა.

— ხომ არ უყვარვარ? გაუელვა გონებაში და გული ისე შემოუტრიალდა, რომ ერთს წამს უნებურად შეჩერდა.

ქალის თვალები თვალწინ გაუჩერდა, გულს ხელ-ახლა სასიამოვნო მოუსვენრობა დაატყო და წინანდელმა სითბომ ისევ დაუარა მთელს ტანსა. ახლა ეს აზრი აეკვიატა გიორგისა. ხან რწმუნდებოდა—უყვარდა ქალსა, ხან გადასწყვეტდა, ეს ყოვლად შეუძლებელიაო, სიყვარული კი არა, უბრალო მეგობრული გრძნობააო და სხვა არაფერი. მაგრამ კიდევ ახალი რამ დაატყო თავსა: როცა იფიქრებდა, ქალს უყვარდა, რაღაც უცნობი, გამოურკვეველი, უზომო სიამოვნება ეუფლებოდა; როცა იფიქრებდა, არ უყვარდა, რაღაცა დააწვებოდა მძიმე ლოდად, გული მოეკუმშებოდა, თითქოს დაიკვნესებდა, სევდა შეამოაწვებოდა, უცნაური, ობლობის გრძნობის მგზავსი სევდა და თითქოს შეებრალებოდა თავი, სინანული შეიპყრობდა.

გიორგის მანამდე სიყვარული არ გამოეცადნა. მართალია, ჰქონდა ერთ ქალთან ურთიერთობა, მაგრამ ამას სიყვარულს არ ეძახდა და მოაგ.ინდა უნებლიედ ეს ურთიერთობა.

მეორე კურსზე იყო. იმისი ოთახის პირდაპირ ერთი ახალგაზდა ქალი იდგა მარტოდ მარტო. ბებერის ქმრისათვის ახლად დაენებებინა თავი. დედ-მამას გიმნაზიის გათავებისათანავე ძალად მოეთხოვებინა და მათ შორის სიყვარულის ნერგს ვერ ეხეირნა.

მეტად ლამაზი სახის ქალი იყო როზა—ასე ერქვა ქალსა—და საუცხოვო ტანისა. ყველაფერი ქალის სხეულისა და სახისა თავშეუკავებელს ვნებასა ხატავდა.

იმისი ტუჩები, სისხლივით წითელი, მუდამ გაპობილი იყო, მუდამ დაურიდებლად იწვევდა მეორე სქესისას ჟინმორეული კოცნისათვის, ლაწვები ნიადაგ ულვიოდა წითელი ღვინის ფრად, თვალები კი ებნიდებოდა მოუკლავის ჟინის ჩაკვლის მოლოდინში. ვნებითვე ჰფეთქდა ქალის სხეულის ყოველი ნაკვთი, ჩამკვრივებულის მოქნილის, ნარნარად დარხეულის სხეულისა. ყველას ვნებას აღუძრავდა, ყველას სისხლს უდუღებდა მისი მოძრაობა, მისი დანახვა მხრებისა, მკერდისა, მორგვალებულის დანაკვთულ თეძოებისა და ფეხებისა, ნატიფადად ამართულის წვივებით.

განსაკუთრებით მიმზიდველი იყო როზა, როცა სავარძელზე ნახევრად გადაწოლილი, თავს სავარძლის ზურგზე გადააგდებდა, ხელებს თავქვეშ ამოიდებდა, ისე რომ მისი მკერდის ბორცვები უფრო წინ წამოიწევდა, უფრო გამოინაკვთებოდა, ხოლო ფეხის მუხლზე



კოსტანტინე (მუშნი) შენგელაია
(მოკლ. ოსმალეთის ფრონტზე).



ივანე მომცელიძე
(დაიკარგა).

შესდებდა და აშკარად მოსჩანდა მისი ფეხების მშვენებანი მუხლის თავებამდე.

გიორგი იცნობდა როზას, ხშირად ულაპარაკნიათ, ერთმანეთთან უვლიათ. ქალს ეტყობოდა სურვილი, გაეხვია ვაჟი ვნებისა და ჟინის ცეცხლში. მოსწონდა იმისი შავგვრემანი, სანდომიანი სახე, ვაჟკაცურად მოყვანილი ტანი, მხარ-ბეჭი.

გიორგი კი, თუმცა იხიბლებოდა მისის ეშხითა და ვნების აღმძვრელი სხეულით, მაგრამ თავს იჭერდა, ფრთხილობდა და ეს უფრო რევდა ქალსა. განსაკუთრებით კი მაშინ გაულიზიანდა გრძნობა როზას, როცა გაიგო, ვაჟი უმანკოა, ჯერ არ ზიარებული სქესთა ურთიერთობის საიდუმლოებას.

ერთხელ მარტოობით მოწყენილმა გიორგიმ დაუკაკუნა კარები როზას. უბრალო გართობა სურდა ქალთან.

— მობრძანდით.

გიორგიმ შეაღო კარები. ქალი წამოწოლილი იყო ტახტზე, თავი ბალიშზე დაედო და წიგნსა კითხულობდა.

— ააა, თქვენა ხართ, მობრძანდით, დაბძანდით; ძალიან სასიამოვნოა. და უჩვენა სკამი, რომელიც იქვე ქალის ფეხებთან ახლოს იდგა. გიორგი ცოტა არ იყვეს შეყოყმანდა; ეგონა, წამოდგება ქალი და მაშინ დავჯდებიო, მაგრამ, რომ დაინახო წამოწოლილი რჩებოდა, დაჯდა.

ტახტზე გადასვენებული ქალის დანახვისათანავე გიორგის თითქოს რაღაცა წვრილის წვრილის ცხელი მარცვლების მგზავსმა რამ გაუჭედა მთელი ტანი, გაუმსო და თვალებში თბილი სისხლი მოაწვა, მაგრამ მალე შეიკავა თავი, დაიწყნარა.

— ბატონო გიორგი, რას გაჩუმებულხართ, რატომ არაფერს ამბობთ? უხერხულად ხომ არა გრძნობთ თავსა, რომ მე ასე ვარ თქვენს წინ წამოწოლილი.

სიტყვები: „თქვენს წინ“ მაგრად და ხაზ გასმით წარმოსთქვა.

— არა, სრულებითაც არა, რა არის აქ უხერხული.

— ზოგს უხერხულად მიაჩნია. მე კი ასე უფრო მომწონს განა ასე უფრო ლამაზი, მიმზიდველი არა ვარ?

— ბატონო გიორგი, უკაცრავად კი ვარ, თუ შეიძლება ჭიქით წყალი მომიტანეთ.

მიუტანა ქალმა წამოიწია, ტუჩებთან მიიახლოვა; არ დაულევია.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა, აღარა მწყურიან წყალი, ბატონო გიორგი, გთხოვთ უკან წაიღოთ უკაცრავად შეწუხებისათვის, ხა, ხა, ხა.

გაოცებულმა გიორგიმ უკან წაიღო ჭიქა, მოტრიალდა, სკამთან გაჩერდა.

— რას გაჩერებულხართ, გიორგი, დაბძანდით. შეიძლება, უბატონოდ დაგიძახოთ სახელი?

— რატომ, რატომ. ჩამოჯდა სკამზე.

— მეც პირდაპირ როზა დამიძახეთ, მარტო როზა.

— გიორგი, რას მიყურებთ ეგრე დაკვირვებით, მშინჯავთ? ხომ არ მოგწონვართ?

ქალის სამოსს ზედატანისას ღილი ჰქონდა შეხსნილი, მკერდის ზევითა ნაწილი მოჰლელოდა.

თვალითვე ეტყობოდა, რომ მკერდის ალისფერი კანი ხავერდივით ღობილი ჰქონდა, ნაზი, ნაზი. გიორგიმ როზას მთელს სხეულს მსწრაფლ თვალი აავლ-ჩაავლო. თვალი შეასწრო, რომ ტუფლებში როზას შიშველი ფეხები ჩაეყო. კაბა კოჭებამდის ჰფარავდა და ტუფლსა და კაბის შუა თოვლსავით თეთრად ფეხის სიშიშვლე მოსჩანდა.

ქალმა აადევნა თვალი ვაჟის თვალების მოძრაობას. როცა ვაჟმა თვალი ხარბად შეაჩერა ქალის შიშველს ფეხზე, როზას ჟრუანტელმა დაუარა, ოდნავ აფეთქდა იმისი გალვივებული სხეული, ვნებით გაიზმორა, მთელი ტანი დასჭიმა; ხელები კისერზე გადაიჭდო და ისე, ფეხები კი ოდნავ შემოატრიალა, ორივე ფეხის ნეკი ტახტს მაგრა დააჭირა და ხანგრძლივის განმეორებულის ზმორებით საგრძეზე გასაჭიმია ფეხების მოძრაობის დროს კაბა კოჭებადან აუცურდა და მარჯვენა ფეხის შიშველი წვივი, ბროლსავით სუფთად, მრევლად შემოთლილის კუნთებით მთლად გამოუჩნდა.

ცეცხლის ალი აუგიზგიზა გიორგის ძარღვებში ქალის სხეულის მშვენიერი ნაწილის დანახვამ. გონების ანგარიში აერია, ველარ გაუძლო ნახულის მიმზიდველობას, ათრთოლებული თითებით შემოაჭდო და მწველის კოცნით ზედ დააკვდა მფეთქავს კუნთებს.

ქალი მოსწყდა, მოეშვა, თვალები მიებნიდა, თავი გადააგდო, მკლავები აქეთ-იქით გადაჰყარა.

გიორგიმ რკალსავით გარშემო შემოსალტა ქალის სხეულს მკლავები და გაშმაგებრლის, გავარვარებულის, ცეცხლმოკიდებულის კოცნით ჰლამობდა ამოეწვა მისი მკერდის კოკრად შეყრილი ბორცვნი, ტუჩები, ყელი, მხრები. ქალი კი თრთოდა ვაჟის სხეულის ქვეშ, იკლაკნებოდა, ვნებად დნებოდა და ყრუდ, შიგა და შიგ უზომო ტკბობის კვნესა სწყდებოდა ლალისფერი სისხლით სავსე ძარღვებს რამდენჯერმე განმეორდა მგზავსი გიორგისა და როზას შორის. უცნობი სიტკბოება გამოეცადა ვაჟმა, მაგრამ ეს სიტკბოება ხორცისა იყო მხოლოდ, სულს არ მიუღია მონაწილეობა მის მშვენიერს ტკბობაში. და როცა ერთი თვის შემდეგ როზა ვიღაც უცხო კაცს გადაეკიდა და იმასთან ერთად სხვა ქალაქს გადასახლდა, გიორგი არ დანაღვლიანებულა, გულს სევდა არ შემოსწოლია მისი უნახაობით, ობლად არ უგვრძნია თავი მისი დაშორებით. ამიტომ იყო, რომ გიორგი ამ ურთიერთობას სიყვარულს არ ეძახდა.

ნადღვდასადმი გრძნობა კი გამოუცნობ ამოცანად ეტუზა. ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა სიყვარულისა და ისიც წაკითხული რომანების წყალობითა; მაღლიდგან დაჰყურებდა და ღრმად დარწმუნებული იყო, იმის გულს თავის დღეში ვერ გაეკარებოდა ეს „რაღაცა სიყვარულის გრძნობა.“ ახლა კი სრულებით თავგზა აებნია: ვერც თავი გაეგო ამ გრძნობისა, ვერც ბოლო და იმ კაცს დამგზავსებოდა, მთლად დაბნელებულს ოთახში, ძილის შემდეგ რომ წამოდგება, კარებს დაეძებს, მაგრამ კარების მაგიერ ხან რას წააწყდება და ხან რასა.

(შემდეგი იქნება).

ვ. ეგნატაშვილი.



ვილსონი: მინდა ჩავიდე წყალში, მაგრამ მეშინია გაცივების...

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.